მშობლიური სივრცის რეპრეზენტაციის მოდელები თანამედროვე ქართველი ემიგრანტი მწერლების რომანებში

მარიამ ადონია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა კილანავა, ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ქართული ფილოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ადონია

19.06.2025

აბსტრაქტი

საკვლევი საკითხი: სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი საკითხია მშობლიური სივრცის რეპრეზენტაციის მოდელები თანამედროვე ქართველი ემიგრანტი მწერლების პროზაულ ნაწარმოებებში. საანალიზოდ შეირჩა სამი ახალგაზრდა ქართველი ავტორის რომანი: ზაზა ბურჭულაძის "გასაბერი ანგელოზი" (2011), ლეო ვარდიაშვილის "ერთი დიდი ტყის მახლობლად" (2024) და მიხეილ ციხელაშვილის "ტანჟერული სიზმარი" (2024).

მეთოდოლოგია: საანალიზოდ შერჩეულ ტექსტებში რეპრეზენტირებული ყველა რეალური - გეოგრაფიული თუ სიზმრისეული _ სივრცე კლასიფიცირდა მნიშვნელობისა და მათდამი პერსონაჟთა დამოკიდებულებების მიხედვით. საგანგებო დაკვირვების საგნად იქცა, აგრეთვე, პერსონაჟთა სამოქმედო (არაქართული) სივრცეები.

თეორიული საფუძვლები: სივრცის მნიშვნელობა და მისი ლიტერატურული რეპრეზენტირების საკითხი გაანალიზდა ფუკოს, ლეფებრევისა და მარია-ლაურე რაიანის თეორიების მიხედვით; რომანებში სიზმრის ფუნქციის კვლევა დაეფუძნა ზიგმუნდ ფროიდის თეორიას.

შედეგები და დასკვნა: საანალიზოდ შერჩეული რომანების კვლევამ ცხადყო, რომ მშობლიური სივრცის რეპრეზენტაცია არა მხოლოდ ემიგრანტობის პოეტიკის ნაწილია, არამედ პერსონაჟთა პიროვნული იდენტობის ფორმირების ნარატიული სტრატეგიაც. ამ მხრივ თითოეული ტექსტი წარმოადგენს უნიკალურ ლიტერატურულ სივრცეს, რომელშიც გაერთიანებულია პირადი და კოლექტიური მეხსიერებები, ინდივიდუალური/კოლექტიური ტრავმა და ნაციონალური იდენტობის განცდა. აღნიშნულ კონტექსტში, ემიგრაციის გამოცდილება მშობლიურ სივრცეს ანიჭებს ახალ სიმბოლურ დატვირთვას, რაც განპირობებულია იმით, რომ ის ხან უცხო გარემოში ახლებურად თვითშეცნების საშუალება ხდება, ხან ინდივიდუალურ ტრავმებზე მუშაობის მექანიზმი, ხანაც _ ხსოვნა-დავიწყების ობიექტი.

კვლევის მნიშვნელობა: სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად მოიპოვება მონაცემები, თანამედროვე ქართველი ემიგრანტი ავტორების შემოქმედებისა და მათ ტექსტებში მშობლიური სივრცის რეპრეზენტაციის მოდელების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი იქნება ხელშემწყობი იმ სამომავლო კვლევებისთვისაც, რომლებიც თანამედროვე ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურას მიეძღვნება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სივრცე, ემიგრანტი/ემიგრაცია, სამშობლო/ საქართველო, იდენტობა, სიზმარი.

Abstract

Research Topic: The research focus of this thesis is the models of representing the native space in the prose works of contemporary Georgian emigrant writers. Three novels by young Georgian authors were selected for analysis: Zaza Burchuladze's Inflatable Angel (2011), Leo Vardiashvili's Hard By A Great Forest (2024), and Mikheil Tsikhelashvili's The Tangier Dream (2024).

Methodology: All real—whether geographical or dreamy—spaces in the selected texts were classified according to their meaning and the characters' attitudes toward them. Particular attention was also paid to the characters' operative (non-Georgian) spaces.

Theoretical Foundations: The concept of space and its literary representation was analyzed through the theories of Foucault, Lefebvre, and Maria-Laure Ryan; the function of dreams in the novels was examined through the lens of Sigmund Freud's theory.

Results and Conclusion: The analysis of the selected novels revealed that the representation of native space is not only part of the poetics of emigration but also a narrative strategy for the formation of personal identity. In this respect, each text constitutes a unique literary space that merges personal and collective memory, individual/collective trauma, and a sense of national identity. In this context, the experience of emigration grants the native space new symbolic weight, turning it alternately into a means of self-rediscovery in a foreign environment, a mechanism for working through old traumas, or an object of remembrance and forgetting.

Research Significance: There is a lack of scholarly data on the works of contemporary Georgian emigrant authors and the models of native space representation in their texts. Accordingly, this thesis will support future research dedicated to modern Georgian emigrant literature.

Keywords: space, emigrant/emigration, homeland/Georgia, identity, dream.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ცირა კილანავას, გაწეული შრომის და მრავალწლიანი ნაყოფიერი აკადემიური თანამშრომლობისთვის.

მადლობას ვუხდი ზურაბ კევლიშვილს მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის.

მადლობას ვუხდი დედას - მზია კიკვილაშვილს, ბებოს - პაუსია ხუნჯუას და ჩემს დამმებს, სალომე, გიორგი და ლუკა ადონიებს, რომლებიც მუდამ მაძლევენ წინსვლის მოტივაციას.